

## ბანმარტებითი ბარათი

**კანონპროექტზე:** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტების შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებით, რომლის მიზანია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციების სწორად გადანაწილება, მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სრულყოფა და საზოგადოებისთვის შეთავაზებული მომსახურების სფეროს შემდგომი განვითარება. კანონპროექტით შემოთავაზებული ყველა ცვლილება ემსახურება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ზიფიკური და იურიდიული პირებისთვის, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის შეთავაზებული მომსახურების უფრო სწრაფად და ხარისხიანად შესრულებას.

აღნიშნულის გარდა, პროექტის მიხედვით ხდება წინამდებარე კანონის სხვა მიმართულებით დახვეწა და ისეთი ახალი მომსახურების სახეობების შემოღებაც, რომელსაც მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს - დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის, მექანიკური ავტოსატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვისა და სატრანსპორტო საშუალების ადგილზე საექსპერტო შემოწმების საფასურების შემოღებას. დღეისათვის, აღნიშნული მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებობს საკმაოდ დიდი ინტერესი, მაგრამ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების გარეშე წინამდებარე მომსახურების შეთავაზება პრაქტიკულად ვერ ხერხდება.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი მიზანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციების სწორად განაწილება, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების სფეროს გაფართოება, საზოგადოებისთვის ახალი მომსახურების სახეობების შეთავაზება და სააგენტოს მხრიდან ზიფიკური და იურიდიული პირებისთვის, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის შეთავაზებული მომსახურების უფრო სწრაფად და ხარისხიანად შესრულება.

#### ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს:

1) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფელდეგერო მომსახურების ფუნქციების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის გადაცემას. კანონპროექტში მოცემულია „საფელდეგერო მომსახურების“ ტერმინის განმარტება, ხოლო რაც შეეხება საფელდეგერო მომსახურების საფასურს - იგი განისაზღვრება საფელდეგერო მომსახურების ხელშეკრულებით, რაც აღნიშნულია წინამდებარე კანონპროექტში;

2) დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენისთვის - 20 ლარის ოდენობის მომსახურების საფასურის დაწესებას. პროექტის თანახმად, წინამდებარე მომსახურება განხორციელდება 10 სამუშაო დღის ვადაში. დღეისათვის, ზემოთ აღნიშნულ გადასახდელს ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსი, რომელიც აღნიშნულ მომსახურებას განიხილავს ადმინისტრაციულ გადაცდომად, რაც ჩვენი აზრით არასწორია. მიგვაჩნია, რომ მართვის მოწმობის დაკარგვისთვის შესაბამის ადმინისტრაციული სახდელის დაწესება არ წარმოადგენს აღნიშნული კოდექსის რეგულირების სფეროს;

3) მექანიკური ავტოსატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვისთვის 50 ლარის, ხოლო სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შეფასებისთვის 20 ლარის ოდენობის მომსახურების საფასურის დაწესებას. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შეფასებისას კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგი სახის შეღავათს – თუ საექსპერტო შეფასება კეთდება ერთდროულად ხუთზე მეტ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მაშინ მომსახურების საფასურის განაკვეთი თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე იქნება – 10 ლარი;

4) ერთი კალენდარული დღის ვადით გაუცემელი და გამოთავისუფლებული სახელმწიფო სანომრე ნიშნის შენახვისთვის – 1,5 ლარის ოდენობის მომსახურები საფასურის დაწესებას;

5) 10 000 ლარიანი ე.წ. „პრესტიჟული ნომრის“ აღებას, იმ შემთხვევაში კი, როდესაც სახელმწიფო სანომრე ნიშნის კომბინაცია შედგება პირისთვის სასურველი ციფრების და ლათინური შრიფტის ასოების კომბინაციისგან. დღეისათვის მოქმედი კანონის მიხედვით, 10 000 ლარიანი სახელმწიფო სანომრე ნიშნის აღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სანომრე ნიშანი შედგება პირისთვის სასურველი ლათინური შრიფტის ასოების კომბინაციისგან;

6) სააგენტოსთვის შემდეგი სახის უფლებამოსილების მინიჭებას - დაკარგული, ამოღებული და გატაცებული ცეცხლსასროლი იარაღის, აგრევე ძებნაში მყოფი პირების შესახებ ინფორმაციის მიღება, დამუშავება და დადგენილი წესით უფლებამოსილ პირებზე გეცემა. დღეისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი. ჩვენი აზრით, აღნიშნული უფლებამოსილების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის გადაცემა ხელს შეუწყობს სათანადო ინფორმაციის სწრაფად მიღებას, დამუშავებას და უფლებამოსილ პირებზე მათ ოპერატიულად გაცემას;

7) სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე პროკურატურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას და შემდგომში აღნიშნული მომსახურებისთვის საფასურის გადახდევინებას (გარდა ამ კანონის მე-9 მუხლის „რ“ ქვეპუნქტისთ გათვალისწინებული მომსახურებისა);

8) „შიდა ტრანზიტის სანომრე ნიშნის დაზიანების“ და „საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვის“ ტერმინთა განმარტებას.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მოძიებას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტი ითვალისწინებს მომსახურების ახალი სახეობების შემოღებას, რაც შესაბამის გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მომსახურების საფასურში შედის დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მომსახურების საფასურის დარჩენილი ნაწილი კი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ანგარიშზე. ამასთან, ამ ეტაპზე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონპროექტის ფინანსური გავლენის ზუსტი ოდენობის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან იგი დამოკიდებული იქნება მომსახურების საფასურის გადახდის ოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტების მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგების იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გარკვეულ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც ისარგებლებენ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული მომსახურების ახალი სახეობებით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):

კანონპროექტი განსაზღვრავს მომსახურების ახალ სახეობებს. მათი გადახდის წესი და პრინციპები გათვალისწინებული იქნება მოქმედი კანონით. რაც შეეხება საფელდეგერო მომსახურებას - აღნიშნული მომსახურების საფასური და გადახდის წესი გათვალისწინებული იქნება საფელდეგერო მომსახურების ხელშეკრულებით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ მონაწილეობდნენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ მონაწილეობდნენ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

**ბ.ვ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტების მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგების იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება გარკვეულ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც ისარგებლებენ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული მომსახურების ახალი სახეობებით.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):**

კანონპროექტი განსაზღვრავს მომსახურების ახალ სახეობებს. მათი გადახდის წესი და პრინციპები გათვალისწინებული იქნება მოქმედი კანონით. რაც შეეხება საფელდეგერო მომსახურებას - აღნიშნული მომსახურების საფასური და გადახდის წესი გათვალისწინებული იქნება საფელდეგერო მომსახურების ხელშეკრულებით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**  
არ მონაწილეობდნენ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**  
არ მონაწილეობდნენ.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.